

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
Известия Национальной Академии Наук Грузии
Proceedings of the Georgian National Academy of Sciences

ბიომედიცინის სერია
БИОМЕДИЦИНСКАЯ СЕРИЯ
BIOMEDICAL SERIES

2021 № 3-4

ტომ
VOL.
83

47

გურნალი დაარსებულია 1975 წელს
Журнал основан в 1975 году
Founded in 1975

თბილისი თბილისი Tbilisi
2021

სარედაქციო პოლიგია

ნოდარ მითაგვარია	(მთავარი რედაქტორი)
თემურ ნანებიშვილი	(მთ. რედაქტორის მოადგილე)
გურამ ბეგაია	(მთ. რედაქტორის მოადგილე)
თამარ დომიანიძე	(სწ. მდივანი)

ჯეიმს ბიჩერი (აშშ)	დავით მიქელაძე
ეგორ გასეცკი (საფრანგეთი)	დავით ნადარეიშვილი
მერაბ ქოქაია (შვედეთი)	სერგეი რაზინი (რუსეთი)
პატრიკ კურმი (საფრანგეთი)	რომან შაქარიშვილი
ოლდა ლავრიკი (რუსეთი)	

სარედაქციო საბჭო

ნაირა აიგაზიანი (სომხეთი)	დავით მეტრეგელი
ივან დემჩენკო (აშშ)	ზურაბ ქვემიანიშვილი
ზურაბ გადაჭიმურია	ნინო ცისკარიშვილი
დმიტრი გასილენკო (უკრაინა)	ალექსანდრე ცისკარიძე
ოთარ თოიძე	დიმიტრი წვერავა
არჩილ კეზელი	ბერენ წინამძღვრიშვილი
ირინე კვაჭაძე	არჩილ ხომასურიძე
დიმიტრი კორძაია	ულდუზ ჰაშმოვა (აზერბაიჯანი)
გელიქ მაკაროვი (რუსეთი)	

კორექტორი: დ. სოხაძე

კომპიუტერული დიზაინი და დაკაბალიზაცია: ა. სურმავა

ეს ნომერი გამოცემულია

ი. ბერიტაშვილის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების დაფინანსებით
თბილისი, 0160, ლ. გოთუას 14

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Н. Митагвария (гл. редактор)
Т. Нанеишвили (зам. гл. редактора)
Г. Бекая (зам. гл. редактора)
Т. Домианидзе (уч. секретарь)

Джеймз Бичер (США)
Егор Васецки (Франция)
Мераб Кокая (Швеция)
Патрик Курми (Франция)
Ольга Лаврик (Россия)

Давид Микеладзе
Давид Надареишвили
Роман Шакаришвили
Сергей Разин (Россия)

РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

Наира Айвазян (Армения)
Зураб Вадачкория
Дмитрий Василенко (Украина)
Иван Демченко (США)
Ирина Квачадзе
Зураб Кеванишвили
Арчил Кезели
Дмитрий Кордзая
Феликс Макаров (Россия)

Давид Метревели
Отар Тойдзе
Улдуз Хашимова (Азербайджан)
Арчил Хомасуридзе
Дмитрий Цверава
Бежсан Цинамдзгвришвили
Александр Цискаридзе
Нино Цискаришвили

Корректор: *Д. Сохадзе*

Компьютерный дизайн и верстка: *А. Сурмава*

Издано Обществом физиологов Грузии им. И.С. Бериташвили
Тбилиси, 0160, ул. Л. Готуа, 14

EDITORIAL BOARD

N. Mitagvaria (Editor-in-Chief)
T. Naneishvili (Vice-Editor)
G. Bekaya (Vice-Editor)
T. Domianidze (Scientific Secretary)

James Bicher (USA)
Patrick Curni (France)
Merab Kokaia (Sweden)
Olga Lavrik (Russia)
David Mikeladze

David Nadareishvili
Sergey Razin (Russia)
Roman Shakarishvili
Egor Vassetzky (France)

ADVISORY BOARD

Naira Aivazian (Armenia)
Ivan Demchenko (USA)
Zurab Kevanishvili
Ulduz Khashimova (Azerbaijan)
Archil Khomasuridze
Dmitri Kordzaia
Felix Makarov (Russia)
David Metreveli
Archil Kezeli

Irina Kvachadze
Otar Toidze
Alexander Tsiskaridze
Nino Tsiskarishvili
Bezhan Tsinamdzgvirishvili
Dmitry Tsverava
Zurab Vadachkoria
Dmitry Vasilenko (Ukraine)

Proof-reader: *D. Sokhadze*

Computer design and make-up: *A. Surmava*

Published by I. Beritashvili Georgian Physiologists Society
14, L. Gotua Str., Tbilisi, 0160

შესაძლებელი**СОДЕРЖАНИЕ****CONTENTS**

**მიმღებელი მეცნიერებისა და პილ-ლინგვისტიკის
 ენორგული მიმღებელი აროვანი. პროფესიული ნარჩის ნაკრების
 სამეცნიერო მოდელის მიზნების მიზნების მიზნების ასეზონული
 გურამ ბეჯაია, ნოდარ მითაგვარია**

**ДОСТИЖЕНИЯ В НЕЙРОФИЗИОЛОГИИ ПАМЯТИ И ЦИКЛА
 БОДРСТВОВАНИЕ-СОН. ВАЖНЫЕ АСПЕКТЫ НАУЧНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ
 ПРОФЕССОРА НАРГИЗ НАЧКЕБИЯ**

Гурам Бекая, Нодар Митагвария

**ACHIEVEMENTS IN THE NEUROPHYSIOLOGY OF MEMORY
 AND SLEEP-WAKEFULNESS CYCLE. IMPORTANT ASPECTS OF
 PROFESSOR NARGIZ NACHKEBIA'S SCIENTIFIC WORK**

Guram L. Bekaya, Nodar P. Mitagvaria..... 75

დამახრგოლებელი ძალის გადაჭავა

შეიძლება უზრუნველყოფის სფეროს გააძლიერებით

ზურაბ საკვარელიძე, მანანა ფრუიძე, ირინე კვაჭაძე, ნინო ჩიკობავა,
 ნინო ხარაძე, ნინო ხვიტია, მაია ჯონსონი, გურამ ბეჯაია

**ПРЕОДОЛЕНИЕ ТОРМОЗНЫХ МЕХАНИЗМОВ ПОВЕДЕНИЯ
 АКТИВАЦИЕЙ ПСИХОЭМОЦИОНАЛЬНОЙ СФЕРЫ**

Зураб Сакварелидзе, Манана Прудзе, Ирина Квачадзе, Нино Чикобава, Нино
 Харадзе, Нино Хвития, Майя Джонсон, Гурам Бекая

**OVERCOMING THE INHIBITORY BEHAVIOR MECHANISMS
 BY MEANS OF THE ACTIVATION OF PSYCHO-EMOTIONAL SPHERE**

Zurab Sakvarelidze, Manana Pruidze, Irine Kvachadze, Nino Chikobava, Nino Kharadze,
 Nino Khvitia, Maia Jonson, Guram Bekaya..... 105

II

სხვადასხვა ასაგის გაგულთა ფიზიკური თვისებების და ვანძნის
მონაცემების კორელაციის ზოგიერთი საკითხი

დურმიშხან ჩითაშვილი, ელენე კორინტელი, ნინო ბერიანიძე

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ КОРРЕЛЯЦИИ ФИЗИЧЕСКИХ СВОЙСТВ И
ФУНКЦИОНАЛЬНЫХ ПОКАЗАТЕЛЕЙ СРЕДИ ДЕТЕЙ РАЗНОГО ВОЗРАСТА

Дурмишхан Читашвили, Елена Коринтели, Нино Берянидзе

SOME QUESTIONS ON CORRELATION OF PHYSICAL FEATURES AND
FUNCTIONAL INDICES AMONG CHILDREN OF DIFFERENT AGES

Durmishkhan Chitashvili, Elene Korinteli, Nino Berianidze 111

К ЮБИЛЕЙНОЙ ДАТЕ РОЖДЕНИЯ ВЫДАЮЩЕГОСЯ
ОТОРИНОЛАРИНГОЛОГА, АКАДЕМИКА ШОТА ДЖАПАРИДЗЕ
(ПОСВЯЩАЕТСЯ 75-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ)

Тамара Хечинашвили, Зураб Кеванишвили, Иван Кеванишвили, Отар Давиташвили,
Хатуна Гегенава, Екатерина Хархели, Нато Накудашвили, Заза Хуцишвили

გამოჩენილი ოთორინოლოგი არჩონებობის, აპადემიკოს შოთა ჯაფარიძის
დაბადების საიუბილეო თარიღისადმი

თამარ ხეჩინაშვილი, ზურაბ ქევანიშვილი, ივანე ქევანიშვილი,
ოთარ დავითაშვილი, ხათუნა გეგენავა, ეკატერინე ხარხელი,
ნატო ნაკუდაშვილი, ზაზა ხუციშვილი

DEDICATED TO 75-YEAR JUBILEE OF OUTSTANDING
OTORHINOLARYNGOLOGIST, ACADEMICIAN SHOTA JAPARIDZE

Tamar Khechinashvili, Zurab Kevanishvili, Ivane Kevanishvili, Otar Davitashvili,
Khatuna Gegenava, Ekaterine Kharkheli, Nato Nakudashvili, Zaza Khutsishvili 117

მსოფლიო ცენტრი მეცნიერი, საქართველოში აუდიოლოგიის
დამფუძნებელი (მიმდვინალი აპადემიკოს ზოგად მეცნიერების
დაბადებიდან 80 წლისთავისადმი)

შოთა ჯაფარიძე, თამარ ხეჩინაშვილი, ივანე ქევანიშვილი,
ოთარ დავითაშვილი, ხათუნა გეგენავა, ეკატერინე ხარხელი

ВСЕМИРНО ИЗВЕСТНЫЙ УЧЕНЫЙ, ОСНОВОПОЛОЖНИК АУДИОЛОГИИ
В ГРУЗИИ (ПОСВЯЩАЕТСЯ 80-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ АКАДЕМИКА
ЗУРАБА КЕВАНИШВИЛИ)

Шота Джапаридзе, Тамара Хечинашвили, Иван Кеванишвили, Отар Давиташвили,
Хатуна Гегенава, Екатерина Хархели

A WORLD-RENNED SCIENTIST, FOUNDER OF AUDIOLOGY IN GEORGIA
(DEDICATED TO THE 80TH ANNIVERSARY OF THE BIRTH OF THE
ACADEMICIAN ZURAB KEVANISHVILI)

Shota Japaridze, Tamar Khechinashvili, Ivane Kevanishvili, Otar Davitashvili,
Khatuna Gegenava, Ekaterine Kharkheli 131

ინსტრუქცია ავტორთათვის

ИНСТРУКЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ
INSTRUCTIONS FOR AUTHORS

მიღწევები მახსინებისა და პილ-ლიზიალის ციალის ენიროზიზიონლოგიაზი. პროცესორ ნარჩიზ ნაჭყების სამეცნიერო მოღვაწეობის მინიჭებულოვანი ასაეჭტები

გურამ ბეჯაია, ნოდარ მითაგვარია

ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი

ადამიანის ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობისთვის დიდი მნიშვნელობა ძილსა და ღვიძილს შორის კანონზომიერებებს, ევოლუციის პროცესში გამომუშავებულ თანაფარდობას ენიჭება. ამ ურთიერთობის დარღვევას თან სდევს უმაღლესი ნერვული პროცესების მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც მთელი რიგი ფსიქო-ნევროლოგიური და ფსიქიკური დარღვევების ერთ-ერთი საფუძველი ხდება.

იმ მეცნიერთა შორის, ვინც 1940-50-იან წლებში ძილის შესწავლა დაიწყეს, ქართველი ფიზიოლოგებიც იყვნენ. განსაკუთრებით ადსანიშნავია ლევან ცქიფურიძის პიონერული გამოკვლევა, რომელმაც აღმოაჩინა და აღწერა (ამერიკელი მეცნიერების აზერინსკისა და კლეიტმანის აღმოჩენამდე სამი წლით ადრე) ძილის ახალი ფაზა, რომელსაც „მშფოთვარე“ უწოდა (ძილი თვალის სწრაფი მოძრაობებით (REM ძილი), პარადოქსული ძილი).

საქართველოში ძილის ფენომენის სისტემატიური და საფუძვლიანი გამოკვლევა გამოჩენილი ნეიროფიზიოლოგის, ფართოდ ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს თენგიზ ონიანის სახელს უკავშირდება, რომელმაც 1968 წელს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ძილ-დვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია დაარსა. მისმა ნაშრომებმა (მონოგრაფიები, პუბლიკაციები, მოხსენებები სამეცნიერო ფორუმებზე) საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

სახელოვანი მეცნიერის ერთ-ერთ ყველაზე დირსეულ მოწაფეს, პროფესორ ნარგიზ ნაჭებიას დაბადებიდან 70 და მეცნიერული მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა. ქალბატონმა ნარგიზმა თავისი ორიგინალური, ნოვატორული გამოკვლევებით დარგის სპეციალისტთა დიდი ყურადღება

მიიქცია და დამსახურებულად მაღალი შეფასება მიიღო, რის გამოც ძილ-დვიძილის ციკლის მკვლევართა და ზოგადად ნეიროფიზიოლოგთა შორის ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

ოქროსმედალოსანი ნარგიზ ნაჭყებია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის გამორჩეული სტუდენტი იყო. სადიპლომო ნაშრომის შესრულებისას (ხელმძღვანელი – აკადემიკოსი ალექსანდრე როიტბაკი), სადაც პირველად ეზიარა მეცნიერული კვლევის ხიბლსა და სირთულეებს, მისი დიდი ნიჭი და მეცნიერული ალლო გამოვლინდა. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1975 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა, რის შემდეგაც დაიწყო მისი აღმასვლა.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნარგიზ ნაჭყებია ამჟამად, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ძილ-დვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორიის გამგე, ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტია. იყო ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ხოლო შემდეგ, ინსტიტუტის ერთ-ერთი წარმატებული, პირველი ქალი დირექტორი.

ნარგიზ ნაჭყებიას მრავალგანზომილებიანი სამეცნიერო მოღვაწეობა აკადემიკოს თენგიზ ონიანის ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაციის კვლევითი ნაწილის შესრულებით იწყება და მოიცავს ექსპერიმენტული სასიათის კვლევებს ულტრათანამედროვე ინტერპრეტაციით და პრაქტიკული მედიცინის მინიშნებით. ასპირანტურის დასრულების შემდეგ, დიდი წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პიპოკამპისა და მისი აფერენტული შესავლების როლი თავის ტვინის ინტეგრაციულ მოქმედებაში”, სადაც სრულიად ახლებურად იყო წარმოდგენილი თავის ტვინის ერთ-ერთი საკანძო სტრუქტურის – ჰიპოკამპის და მისი ძირითადი აფერენტული შესავლების – სეპტუმისა და ენტორინალური ქერქის როლი მეხსიერების და ძილ-დვიძილის ციკლის ბაზისურ მექანიზმის.

დისერტაციის ოპონენტმა, საერთაშორისო აღიარების მქონე რუსმა მეცნიერმა, პროფესორმა ოლგა ვინოგრადოვამ ძალიან მაღალი შეფასება მისცა სადისერტაციო ნაშრომს და მის ავტორს და სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა დასკვნა იმის შესახებ, რომ ნარგიზ ნაჭყებიას საკანდიდატო დისერტაცია ერთ-ერთი საუკეთესო გამოკვლევა იყო მეხსიერების და ძილ-დვიძილის ციკლის ნეიროფიზიოლოგიის სფეროში, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა არა მხოლოდ საკანდიდატო, არამედ სადოქტორო დისერტაციისადმი წარდგენილ მოთხოვნებს.

ამ პერიოდისთვის ნარგიზ ნაჭყებია, უკვე კარგად ჩამოყალიბებული მეცნიერი-მკვლევარი გახლდათ, რომლის შრომებიც გამოქვეყნებული იყო უცხოურ და ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში და მოსსენებების სახით იყო წარდგენილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და ყრილობებზე. ამ შრომებს დიდი საერთაშორისო გამოხმაურება პქონდა, რადგან გამოკვლევებში მიღებული იყო ახალი, ორიგინალური ფაქტები სრულიად ახალი, ორიგინალური მეთოდური მიღგომებით.

კერძოდ, 1980 წელს აკადემიკოს თენგიზ თნიანთან ერთად უკრნალში „Acta Neurobiologica Experimentalis“ გამოაქვეყნა ნაშრომი „Factors of extinction of alimentary instrumental conditioned reflexes“ (კვებით მოტივირებული ინსტრუმენტული პირობითი რეფლექსების ჩაქრობის ფაქტორები), სადაც სრულიად ახლებურად იყო წარმოდგენილი ჩაქრობის ფენომენის ნეიროფიზიოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი [52].

ივანე პავლოვი თვლიდა, რომ ჩაქრობის ფიზიოლოგიურ მექანიზმს შინაგანი შეკავება წარმოადგენს, რომელიც არშეუდლებული პირობითი სიგნალის ქერქულ წარმომადგენლობაში აღმოცენდება, ირადიაციას განიცდის მთელ ქერქში და, ბოლოს, ისევ წარმოშობის ადგილზე კონცენტრირდება [19]. ამ მიმართულებით მომუშავე მეცნიერების უმეტესობაში აღიარა პავლოვის პიპოთეზა, განსხვავება იყო მხოლოდ მოსაზრებებში შინაგანი შეკავების ლოგალიზაციის ადგილის შესახებ [2-4]. პირობითი რეფლექსის ჩაქრობის წამყვან, ძირითად ფაქტორად, პირობითი რეფლექსების შესახებ მოძღვრების შექმნიდან, უპირობო გამდიზიანებელთან პირობითი სიგნალის არშეუდლება ითვლებოდა [1-4].

ნაჭყებიას მიერ შესრულებულ კვლევაში პირველად იქნა აქცენტი გაკეთებული იმ გარემოებაზე, რომ არშეუდლება ბევრ ფაქტორს მოიცავს, რომელთა ფუნქციური დიფერენციაცია აუცილებელია. ამ ფაქტორებიდან განიხილებოდა: პირობითი სიგნალის ფონზე პირის ღრუში საკვების არმოხვედრა, კვებითი მოტივაცია და გმოციური დაძაბულობა. ნაჩვენებ იქნა, რომ პირობითი სიგნალის არშეუდლება უპირობო გამდიზიანებელთან, ანუ საპერსის არმოხვედრა პირის ღრუში ჩაქრობას მშიერ ცხოველებშიც არ იწვევს, თუკი ამ დროს მათ არ ეძლევათ საშუალება მივიღნენ საკებურასთან, დაათვალიერონ ის და „დარწმუნდნენ“, რომ უპირობო შეუდლება (ამ შემთხვევაში ხორცის ნაჭერი) იქ აღარ დევს. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ მხოლოდ არშეუდლება მაღალი კვებითი მოტივაციის ფონზეც კი არ არის საკმარისი პირობა ჩაქრობის განვითარებისთვის.

ორიგინალური დიზაინით განხორციელებულ კვლევებში პირველად იქნა ნაჩვენები, რომ ჩაქრობა არის არა შინაგანი შეკავება, არამედ დასწავლის ერთ-ერთი სახე, როდესაც ცხოველი იმასხოვრებს, რომ პირობითი გამდიზიანებლის პასუხად კვებითი შეუდლება აღარ ეძლევა. ამასთან, პირველად იქნა გამოვლენილი ჩაქრობის ძირითადი ფაქტორი, რომელსაც

საკვებურაში საკვების არარსებობის სენსორული (მხედველობითი, ტაქტილური, ყნოსვითი) აღქმა წარმოადგენს. დასწავლის ორი სახე – გამომუშავება და ჩაქრობა არც ხასიათის მიხედვით განსხვავდება და არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ გამომუშავება დადებითი დასწავლაა, ხოლო ჩაქრობა – უარყოფითი [17, 52].

აღნიშნულ ნაშრომს დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა მეხსიერების ნეიროფიზიოლოგიის სფეროში მომუშავე მეცნიერთა მხრიდან. ამავე წელს, ნარგიზ ნაჭყებია, მეცნიერისთვის სრულიად ახალგაზრდა ასაკში (29 წლის), ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ძილ-დვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორიაში ჯგუფის ხელმძღვანელი გახდა.

ჰიპოგამპისა და მისი ძირითადი აფერენტული შესავლების როლის კვლევა დასწავლისა და მეხსიერების პროცესებში ოთხი მნიშვნელოვანი ამოცანის გამოყენებით ხდებოდა: კვებით მოტივირებული სივრცითი ბგერითი დისკრიმინაციის; გამომუშავება; გრძელვადიანი შენახვა; ჩაქრობა და პირობითი დაყოვნებული რეაქციები. სივრცითი ამოცანები სპეციალურად იქნა შერჩეული, ვინაიდან იმ პერიოდში უკვე ითვლებოდა, რომ ჰიპოგამპი სივრცით დასწავლაში და ინფორმაციის გრძელვადიან შენახვაში უნდა იყოს ჩართული.

ჰიპოგამპის, სეპტუმისა და ენტორინალური ქერქის როლის კვლევა მეხსიერების და ძილ-დვიძილის ციკლის ბაზისურ მექანიზმებში ითვალისწინებდა ამ სტრუქტურების სრულ/შეუქცევად ან რევერსირებად ფუნქციურ გამოთიშვას და ამ პროცედურების პრო- და რეტროაქტიური ეფექტების შესწავლას. დაგეგმილი ამოცანების წარმატებით შესრულება სპეციფიკური მეთოდური მიღების გამოყენებას მოითხოვდა და იმის მიხედვით, თუ თავის ტვინის რომელი სტრუქტურა იყო კონკრეტული კვლევის სამიზნე, მეთოდური მიღების სრულიად განსხვავდებოდა.

უფრო კონკრეტულად, სეპტუმის სხვადასხვა ბირთვების სრული არარევერსირებადი გამოთიშვისთვის, ელექტროლიზური დაზიანების მეთოდის გამოყენება სრულიად აღვავატური მიღების იყო, რასაც სეპტუმის ბირთვების მცირე ზომები უწყობდა ხელს. ამ მეთოდის გამოყენებით განხორციელდა მედიალური სეპტუმის იზოლირებული დაზიანება და, აგრეთვე სეპტუმის მასიური დაზიანება.

მედიალური ბირთვი შეიცავს ე.წ. გადამრთველ (რელე) ნეირონებს, რომელთა საშუალებით ჰიპოგამპს გადაეცემა ტვინის ლეროსა და შუამდებარე ტვინიდან მედიალური წინა ტვინის კონით აღმავალი აფერენტაცია, რაც ქოლინერგულ, მონოამინერგულ, გაემერგულ და ჰეპტიდერგულ ნეირომედიატორულ-ნეირომოდულატორულ სისტემებს მოიცავს. მედიალური სეპტუმის იზოლირებული დაზიანება საშუალებას იძლეოდა შესწავლილიყო

ამ გზების არარევერსირებადი გამოთიშვის ეფექტები მეხსიერებასა და ძილ-დვიძილის ციკლზე, აგრეთვე, ელექტროპოკამპოგრამაზე დვიძილისა და ძილის ფაზების მიმდინარეობისას.

ნაჩვენებ იქნა, რომ სეპტემბის მედიალური ბირთვის იზოლირებული დაზიანება, ანუ მედიალური სეპტემბის რელე ნეირონების გზით პიპოკამპში შემავალი ქოლინერგული, გაემერგული და პეპტიდერგული გავლენების სრული გამოთიშვა არ არღვევს პავებით მოტივირებული სიგრცითი ბგრითი დისკრიმინაციის გამომუშავებას, გრძელვადიან შენახვას და ჩაქრობას. აღნიშნულ პირობებში მხოლოდ პირობითი დაყოვნებული რეაქციების შესრულება ირღვევა [10, 13, 15-17, 29, 53, 54, 56].


ჯერ კიდევ 1958 წელს უცხოელმა მეცნიერებმა ბრეიდიმ და ნაუტამ [20] ვირთაგვებში აღწერეს ე.წ. „სეპტალური სინდრომი“, რომელიც სეპტემბის მასიური დაზიანების შემთხვევაში ვითარდებოდა და მოიცავდა აგზენება-დობის მატებას, ფრუსტრაციას, პიპერფაგიას, პერსევერაციულ მოძრაობებს.

ქალბატონ ნარგიზ ნაჭყებიას მიერ პირველად იქნა ნაჩვენები, რომ სეპტემბის მასიური დაზიანების შედეგად სეპტალური სინდრომი კატებშიც შეიძლება განვითარდეს, სეპტალური სინდრომის თანმდევი მეორადი ქცევითი ცვლილებები ხელს უშლის დასწავლის პროცესს. თუმცა, აღნიშნულ პირობებში განვითარებულ დარღვევებს არაფერი აქვს საერთო დასწავლისა და მეხსიერების მექანიზმების ფუნქციის მოშლასთან [13, 16, 18, 28, 29, 54, 55].

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები იყო მიღებული ძილ-დვიძილის ციკლთან მიმართებაში. მედიალური სეპტემბის ელექტროლიზური დაზიანება სრულად აღმოფხვრიდა პიპოკამპურ თეტა რიტმს (სურ. 1) და მნიშვნელოვანი არღვევდა ძილის ფაზათა ელექტროგრაფულ სურათს. თუმცა, ხელს არ უშლიდა ნელტალდოვანი და REM-პარადოქსული ძილის განვითარებას.

აღნიშნული ფაქტები პირდაპირ მიუთითებდა, რომ ის ქოლინერგული და გაემერგული ნეირონული პოპულაციები, რომლებიც ბაზალურ წინა ტვინში მედიალური სეპტემბის დონეზეა ლოგალიზებული, არ არის მნიშვნელოვანი ძილის ფაზების, და, განსაკუთრებით, REM-პარადოქსული ძილის გამშვებ მექანიზმებში [7, 8, 11, 12, 30, 35, 53, 54].

ეს ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნაა, ვინაიდან საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ პიპოკამპის ელექტრული აქტიობა სარკულად ასახავს ძილის ფაზებისა და სტადიების ურთიერთმონაცვლეობას, რის გამოც ითვლებოდა, რომ პიპოკამპი ძილის ბაზისურ მექანიზმებში უნდა ყოფილიყო ჩართული.




სეპტუმის დაზიანების მორფოლოგიური
კონტროლი და ეუამბები
აღმდეგობრივი მოკლეზე
დაიძინება და REM/პარადოქსული
ძიღის დროს.

სურ. 1. მედიალური სეპტუმის (Ia), ლატერალური სეპტუმის (Ib) და ორივე ბირთვის დაზიანების (Ig) მორფოლოგიური კონტროლი. II – პიპოკამპოგრამის სპექტრული ანალიზის შედეგები აქტიური დვინილის დროს; II A, C – აქტიური დვინილის ფონური სურათი; II B, D – მედიალური სეპტუმის დაზიანების ევექტები; III – მედიალური სეპტუმის დაზიანების ეფექტები პიპოკამპის ელექტრულ აქტიობაზე REM-პარადოქსული ძიღის დროს (III A, C – ფონური სურათი; III B, D – მედიალური სეპტუმის დაზიანების ეფექტები). IV A – REM-პარადოქსული ძიღის ფონური ეგგ სურათი; IV B – REM-პარადოქსული ძიღის ეებ სურათი მედიალური სეპტუმის დაზიანების შემდეგ. კალიბრება: 150 მკვ, დრო 1 წმ (Nachkebia, Oniani, 1985)

გამოკვლევათა მესამე სერია მიეძღვნა პიპოკამპის ქერქული შესავლის, პერფორირებული გლუტამატერგული აფერენტული გზის და, ზოგადად, ენტორინალური ქერქის როლის კვლევას დასწავლასა და მეხსიერებაში, პიპოკამპის ელექტრული აქტიობის გენეზში და ძიღ-დვინილის ციკლის ბაზისურ მექანიზმებში. ამ საკითხების კვლევას ის გარემოება ართულებდა, რომ ენტორინალური ქერქის არარევერსირებადი ფუნქციური გამოთიშვის მეთოდი არ არსებობდა, ვინაიდან დიდი ზომის გამო მისი სრული ელექტროლიზური ან ციტოტოქსინებით დაზიანება ვერ ხერხდებოდა, ხოლო ქირურგიული მოცილება და შემდეგ ქრონიკული ცდების ჩატარება თავისუფალი ქცევის პირობებში ქერქის ამ უბნის ანატომიური მდებარეობის გამო შეუძლებელი იყო.

ნარგიზ ნაჭყებიამ მეუღლესთან, ალექსანდრე ნაჭყებიასთან ერთად, და-ამუშავა ენტორინალური ქერქის ქირურგიული მოცილების ახალი მეთოდი, რისთვისაც შეიქმნა სპეციალური ენცეფალოტომი (სურ. 2 A), რომელიც ქერქის ამ ნაწილის სრული შემოჭრის და მეხსიერებისა და ძილ-დვიძილის ციკლის პროცესებში მისი ფუნქციური დანიშნულების გარკვევის სა-შუალებას იძლეოდა.



სურ. 2. I A – ენცეფალოტომის სრული გარეგნული ხედი, რომელიც ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება: I B – უკანგავი მეტალის მიმმართველ-მჭრელი მოძრავი ნაწილი, რომელსაც წვერზე მიმაგრებული აქვს 4-5 მმ სიგრძის მჭრელი ფოლადის მავთული; I C – ეწ. დამცავი კანულა (ამოდებულია Nachkebia et al., 1987). II – ენტორინალური ქერქის შემოჭრის დონეების სქემატური გამოსახულება, რომელიც ეკრდნობა მორფოლოგიური კონტროლის მონაცემებს (ამოდებულია Nachkebia et al., 1987)

ენცეფალოტომი ორი ნაწილისგან შედგებოდა: მოძრავი, რომლის წვერზეც მართკუთხა ფორმით მიმაგრებული იყო 5 მმ სიგრძის მჭრელი ფოლადის მავთული (სურ. 2 B), უძრავი ნაწილი კი დამცავ ფუნქციას ასრულებდა (სურ. 2 C). ენცეფალოტომი ენტორინალურ ქერქში სტერეოტაქსული მე-თოდით ინერგებოდა აიმონ-მარსანის ატლასის კოორდინატების მიხედვით. ქალას ძვალზე მყარად დამაგრების შემდეგ იწყებოდა ენცეფალოტომის მოძრავი ნაწილის თავის ტვინის სიდრმეში გადაადგილება, ვიდრე მჭრელი ნაწილი ქალას ფუძეს არ დაეყრდნობოდა. შემდეგ, მოძრავი ნაწილი ისევ ზემოთ ამოიწეოდა, დამცავი კანულის ქვედა ბოლომდე, რა დროსაც გა-დაადგილება სრულდებოდა. ამას მოსდევდა მიმმართველ-მჭრელი ნაწილის წრიული შემოტრიალება დამცავ კანულაში, რა დროსაც ენტორინალური ქერქის 10 მმ-იანი დიამეტრით (სრულად) შემოჭრა ხდებოდა.


პერფორირებული გზა ერთადერთი შესავალია ახალი ქერქიდან ჰიპო-კამპში, რომელიც ჯერ დაპილული ხევულის მარცვლოვან უჯრედებზე გადაერთვება. აქედან კი ჰიპოკამპის CA3 ველის პირამიდულ უჯრედებზე ბოლოვდება და ახალი ქერქიდან მომავალ ინფორმაციას ჰიპოკამპს გადასცემს. ითვლებოდა, რომ პერფორირებული გლუტამატერგული გზის აქტივაცია ჰიპოკამპის ელექტრული აქტიობის დესინერონიზაციას იწვევს.

ახალმა მეთოდმა წარმატებული აპრობაცია გაიარა და მისი გამოყენებით სრულიად ახლებურად შეფასდა ენტორინალური ქერქის როლი ჰიპოკამპის ელექტრული აქტიობის გენეზში ძილ-ღვიძილის ციკლის სხვადასხვა ფაზების მიხედვით. 1987 წელს ეს მეთოდი და მიღებული შედეგები გამო-ქვენდა ურნალში „Нейрофизиология“ [12], სადაც ჰირგელად იქნა წარ-დგენილი ჰიპოკამპის ელექტრული აქტიობის (1-15 ჰც სიხშირების) სპექტრული ანალიზის შედეგები ენტორინალური ქერქის შემოჭრიდან 10-15 დღის შემდეგ.

აღმოჩნდა, რომ ნელტალდოვანი ძილის ფონზე ელექტროპიპოგრამასა და ელექტრონეორტიკოგრამაში სიხშირის პიკი გამოდის დელტა რიტმის მინიმალური დიაპაზონიდან (1 ჰც) და დელტა ოსცილაციაზე (<1 ჰც) ინაცვლებს, რაც ნელტალდოვანი ძილის ხარისხს მკვეთრად აუარესებდა.

ელექტროპიპოგრამის სპექტრულმა ანალიზმა კიდევ ერთი, სრულიად ახალი ფაქტი გამოვლინა. აღმოჩნდა, რომ ენტორინალური ქერქის მო-ცილება მკვეთრად აძლიერებს ჰიპოკამპურ თეტა რიტმს როგორც ღვი-ძილის, ისე REM-პარადოქსული ძილის დროს (სურ. 3 B, D). ეს ფაქტი იმაზე მიუთითებდა, რომ ნორმაში ენტორინალური შესავალი თრგუნავს ჰიპოკამპურ თეტა რიტმს და ხელს უშლის მის ჭარბ განვითარებას. ერთად აღებული ორივე ახალი ფაქტი პირდაპირ მიუთითებდა ენტორინალური ქერქის ანატომიური და ფუნქციური მთლიანობის უდიდეს მნიშვნელობაზე თავის ტვინის ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო სტრუქტურის – ჰიპოკამპის

ნორმალურ ფუნქციობაში და ძილის დროს ამ სტრუქტურის ელექტრული აქტივობის ხარისხისა და ფუნქციის შენარჩუნებაში [16, 30, 53, 55].




სურ.. 3. ელექტროპიპოკამბოგრამის ცვლილებები ენტორინალური ქერქის სრული შემოჭრის შემდეგ. I – REM-პარადოქსული ძილის ენტორინალური ქერქის შემდეგ, A – ფონური ენტორინალური ქერქის შემოჭრის შემდეგ, 1 – ელექტროპიპოკამბოგრამა, 2 – ოვალის მამოძრავებელი კუნთის აქტივობა. II – ელექტროპიპოკამბოგრამის სპექტრული ანალიზის შედეგები: A, C – ფონური REM-პარადოქსული ძილის დროს; B, D – ენტორინალური ქერქის შემოჭრის შემდეგ. კალიბრება: 150 მკვ, დრო – 1 წმ (Nachkebia et al., 1987)

კიდევ ერთი თავისებურება, რაც ქალბატონ ნარგიზ ნაჭყებიას მეცნიერულ მოღვაწეობას გამოარჩევს, კონკრეტული პრობლემის კვლევისას მიღებული ფაქტების მაღალი სანდოობის დადასტურების მიზნით, განსხვავებული მეთოდური მიდგომებით მათ გადამოწმებაში მდგომარეობს. კერძოდ, დაზიანებისა და ქირურგიული შემოჭრის ან მოცილების მეთოდების გამოყენებას, ზოგადად, თან ახლავს მნიშვნელოვანი მეორადი ცვლილებები – ნერვული დაბოლოებების განტოტვა (სპრუტინგების განვითარება), რეტროგრადული და ანტეროგრადული დეგენერაცია და სხვ., რაც მიღებული შედეგების სწორ ინტერპრეტაციას ართულებს. სწორედ ამიტომ, მეხსიერებისა და ძილ-დვიძილის ციკლის ორგანიზაციაში ჰიპოკამბის როლის გარკვევის მიზნით დაიგეგმა ამ სტრუქტურის რევერსირებადი

ფუნქციური გამოთიშვის ეფექტების კვლევა და რევერსირებადი ფუნქციური გამოთიშვის მეთოდის ძიება.

ამ მიზნით, ელექტრული გაღიზიანების მეთოდით პირველად იქნა გამოყენებული ლოკალური მებ კრუნჩხვების გამოწვევა და დადგენილ იქნა დენის ძალისა და სიხშირის ის ზღვრული სიდიდეები, რომელთა გამოყენებაც ჰიპოკამპში შემოფარგლულ, ლოკალურ მებ კრუნჩხვებს იწვევდა ახალი ქერქის უბნებზე გავრცელების გარეშე (სურ. 4).



სურ. 4. ჰიპოკამპის ლოკალური მებ ეპილეპტიფორმული განმუხტვების ტიპური სურათი. გამოყვანები: 1 – მარჯვენა სენსომოტორული ქერქი; 2 – მარცხენა სენსომოტორული ქერქი; 3 – მარჯვენა მხედველობის ქერქი; 4 – მარცხენა მხედველობის ქერქი; 5 – ჰიპოკამპი. კალიბრება: 150 მკვ, დრო – 1 წმ (Nachkebia et al, 1985)

აღნიშნული მეთოდის და სპეციალურად შემუშავებული პროტოკოლის გამოყენებით, ნარგიზ ნაჭყებიას მიერ პირველად იქნა ნაჩვენები ჰიპოკამპის ლოკალური ეპილეპტიფორმული განმუხტვების გამაადვილებელი გავლენა დასწავლისა და მესიერების პროცესებზე. აღმოჩნდა, რომ თუკი ჰიპოკამპის ფუნქციური გამოთიშვა ხდებოდა პირობითი და უპირობო გამდიზიანებლების თითოეული შეუდლებიდან გარკვეული ინტერვალებით (1 წთ, 30 წმ, შეუდლების დასრულებისთანავე), მაშინ კვებით მოტივირებული სივრცითი ბერითი დისკრიმინაციის გამომუშავების მნიშვნელოვან გაადვილებას ჰქონდა ადგილი. გამაადვილებელი ეფექტის სიძლიერე დამოკიდებული იყო იმ ინტერვალზე, რომელიც გადიოდა ჰიპოკამპის ხანმოკლე, რევერსირებად ფუნქციურ გამოთიშვასა და პირობითი და უპირობო გამდიზიანებლების შეუდლების დასრულებას შორის, მაქსიმალური გაადვილება ნულოვანი ინტერვალის პირობებში ვლინდებოდა.

ნარგიზ ნაჭყებიას მიერ ორიგინალურად იქნა განმარტებული პიპოკამპის ფუნქციური გამოთიშვის გამადვილებელი გავლენის მექანიზმი. განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებაზე იქნა გამახვილებული, რომ, ჩვეულებრივ, ინსტრუმენტული კვებითი პირობითი რეფლექსების გამომუშავებისას, ცხოველი, ძირითადი ინფორმაციის გარდა (პირობითი გამდიზიანებლები – ტონი და კაკუნი, უპირობო კვებითი გამდიზიანებელი – საკვებურაში მოთავსებული ხორცის ნაჭერი), მრავალ სხვა ინფორმაციას იღებს (ურთიერთობა ექსპერიმენტაციორთან, ლაბორანტთან, რომელიც ყოველი შეუდლების შემდეგ ცხოველს სასტარტო განყოფილებაში აბრუნებს, სასტარტო განყოფილების კარის დახურვით გამოწვეული ხმაური და სხვ). ამ ფონზე ბუნებრივად ორი პროცესი მიღის: 1) პაბიტუაცია იმ გამდიზიანებლების მიმართ, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვთ ცხოველისთვის; 2) ცხოველი გამოყოფს ძირითად ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანია მისთვის და დასწავლის პროცესი მიმდინარეობს იმ სიჩქარით, რასაც ჩვენ ფონურს ვუწოდებთ.

პროფესორ ნაჭყებიას მიერ წამოყენებულ იქნა პიპოთეზა იმის შესახებ, რომ პიპოკამპის რეგერსირებადი, ფუნქციური გამოთიშვის პირობებში პიპოკამპში შემავალი ინფორმაციის რაოდენობა იზღუდება, ვინაიდან შეუდლების დასრულებას მოსდევს ამ სტრუქტურის ფუნქციური გამოთიშვა და ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ცხოველი გარემოს სხვა გამდიზიანებლებს ვეღარ აღიქვამს. სწორედ ამიტომ, შეზღუდვის ხარისხი ვარირებს იმ ინტერვალის მიხედვით, რომელიც გადის პირობითი და უპირობო გამდიზიანებლების შეუდლებიდან პიპოკამპის ფუნქციურ გამოთიშვამდე. ამიტომ, ამ ინტერვალის შემცირების კვალდაკვალ გამაადვილებელი ეფექტი ძლიერდება და თავის მაქსიმუმს ნულოვანი ინტერვალის ფონზე აღწევს, როდესაც პიპოკამპის ფუნქციური გამოთიშვა ხდება თოთოვეული შეუდლების დასრულებისთანავე და ამის შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ახალი ინფორმაციის აღქმა/მიღებას აღარ ხდება [5, 6, 10, 33]. შესაბამისად, გამოირიცხება მაინტერფერირებელი გავლენების არსებობა, რაც უკვე აღქმული ინფორმაციის დასწავლა ხელს ვეღარ უშლის და დამახსოვრება აღვილდება.

ამ ფაქტების და სეპტუმისა და ენტორინალური ქერქის ფუნქციათა შესწავლის საფუძველზე, ნარგიზ ნაჭყებიამ წამოაყენა ახალი, ორიგინალური პიპოთეზა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დასწავლის პროცესში პიპოკამპი ასრულებს ინფორმაციის სელექციის ფუნქციას. ამ ინფორმაციის მოტივაციურ-ემოციური მნიშვნელობის განსაზღვრის საფუძველზე გადასცემს მას ახალი ქერქის მეხსიერების საცავებს გრძელვადიანი შენახვის მიზნით [5, 6, 10, 33].

1980-იანი წლების შუა პერიოდიდან პროფესორ ნარგიზ ნაჭყებიას სამეცნიერო ინტერესების სფეროში მოექცა თავის ტვინის ნეირომედიატორულ-

ნეირომოდულატორული სისტემების როლის კვლევა ძილ-დვიძილის ციკლის ბაზისურ მექანიზმებში.

ამ მიმართულებით, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ მეუდლესთან, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ ალექსანდრე ნაჭყებიასთან ერთად შესრულებული გამოკვლეულების მნიშვნელოვანი სერია, რომელიც მიეძღვნა ძილისა და ლინილის ბაზისური მექანიზმების კვლევას შუატვინგადაჭრილ, ე.წ. „*cerveau' isole*“ კატეგორიაში. მეოთედურად, ეს საკმაოდ რთულად შესასრულებელი სამუშაო იყო, ვინაიდან პრეპარატის მისაღებად საჭირო იყო შუა ტვინის გადაჭრა ოთხგორაკებშუა დონეზე, რა დროსაც წინა ტვინს მყისიერად, სრულად უწყდება სენსორული ინფორმაციის მიწოდება მსედველობითი და ოლფაქტორული აფერენტაციის გარდა. მიიღება პრეპარატი იზოლირებული წინა ტვინით, რომელსაც აღარ მიეწოდება ტვინის დეროსა და შუა ტვინიდან აღმავალი ქოლინერგული, ადრენალინგული, სეროტონერგული და სხვა ინფორმაცია. პრეპარატი მყისიერად ვარდება კომურ მდგომარეობაში, რაც სრულად აღმოფხვრის ძილ-დვიძილის ციკლის ულტრადიანულ სტრუქტურას და ძილის ფაზების და სტადიების განვითარებას.

დიდ სირთულეს წარმოადგენდა ამ პრეპარატების მოვლა და მათზე ხანგრძლივი ნახევრადქრონიკული ექსპერიმენტების ჩატარება. მკვლევარების მაღალმა კგალიფიკაციამ ეს სირთულეებიც დასძლია და ჩატარდა უწყვეტი, 72-96-საათიანი ექსპერიმენტები, სადაც პირველად იქნა მიღებული ახალი ორიგინალური შედეგები.

უნდა აღინიშნოს, რომ „*cerveau isole*“ პრეპარატების გამოყენებას ძილის ბაზისური მექანიზმების კვლევის მიზნით, ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ პრეპარატის პირველმა მკვლევარებმა აჩვენეს, რომ შუა ტვინის ოთხგორაკებშუა გადაჭრა წინა ტვინს პათოლოგიურ, კომურ მდგომარეობაში აგდებს. ისინი შუა ტვინის გადაჭრის შემდეგ განვითარებულ „ძილის თითისტარებეს“ ფიზიოლოგიურ ძილთან ან ძილის მსგავს მდგომარეობასთან აიგივებდნენ. ნარგიზ ნაჭყებიას მიაჩნდა, რომ ეს საკმაოდ თამამი ექსტრაპოლაცია გადაჭრის შემდეგი მწვავე და ნახევრადქრონიკული პერიოდების ნაკლებდეტალური შესწავლით იყო გამოწვეული, რადგან ამ შრომებში ძირითადი აქცენტები დვიძილის საონტანური ან ხელოვნურად გამოწვეული აღდგენის შესაძლებლობაზე იყო გადატანილი. იზოლირებულ წინა ტვინში „ძილის“ განვითარების მიზეზად მხოლოდ სენსორული დაფურენტაციის პროცესს აღიარებდნენ.

ქალბატონ ნარგიზ ნაჭყებიას მიერ ჩატარებულ კვლევებში ძირითადი აქცენტი იმაზე გაკეთდა, რომ „*cerveau isole*“ ცხოველური მოდელი უნდა განხილულიყო, როგორც: 1) ტვინის დეროდან აღმავალი ხორადრენალინგული, სეროტონერგული და ქოლინერგული ნეირომედიატორულ-ნეირომოდულატორული სისტემების და ბაზალური წინა ტვინის ქოლი-

ნერგული, პისტამინერგული და ორექსინერგული სისტემების ფუნქციური და ანატომიური განმხოლოების და 2) ძილ-ღვიძილის ციკლის ბაზისურ მექანიზმებში, შუამდებარე ტვინის, ტვინის ღეროსა და ბაზალური წინა ტვინის ზემოჩამოთვლილი ნეირომედიატორული სისტემების ინდივიდუალურ როლზე ახლებური მსჯელობის საშუალება.

ექსპერიმენტული კომური მდგომარეობა, სხვა მკვლევარებისგან განსხვავებით, განხილულ იქნა არა როგორც წინა ტვინის დეაფერენციის პასიური შედეგი, არამედ, როგორც ის სკეციფიკური პათოლოგიური მდგომარეობა, როდესაც სრულად ირლევა ერაუზალის აღმავალი კომპონენტების კოორდინირებული მოქმედება მათი ანატომიური და ფუნქციური განმხოლოების გამო. ამ კომპონენტების ერთი ნაწილი თავის ფიზიოლოგიურ ფუნქციას კარგავს, ხოლო სხვა ნაწილი იმ ინდივიდუალურ ეფექტურობას ავლენს, რისი შემჩნევაც ინტაქტურ ცხოველებში შეუძლებელია. ეს სრულიად ახლებური მიღვიმა იყო „*cerveau isolé*“ პრეპარატებისადმი, რაც რიგი ახალი ფაქტებისა თუ მიგნებების საფუძველი გახდა.

ნაჭყებიების ექსპერიმენტულ კვლევებში ძირითადი აქცენტი მწვავე და ნახევრად ქრონიკული პერიოდების დეტალურ შესწავლაზე გაკეთდა [14, 44], რამაც საშუალება მისცა მათ დაედგინათ, რომ ამ დროს იზოლირებულ წინა ტვინში (ახალ ქერქსა და პიპოკამპუში) დომინირებას იწყებს ელექტრული აქტიობის პათოლოგიური პატერნი, რომელიც მძლავრი დესინქრონიზაციისა და პიპერაქტივირებული თითისტარა განმუხტვების ზედებას წარმოადგენს (სურ. 5) და დიამეტრალურად განსხვავდება როგორც ზერელუ, ისე ღრმა ნელტალლოვანი ძილის ნორმალური მებ სურათებისგან. ინტაქტური ცხოველებისთვის დამახასიათებელი ნელტალლოვანი ძილის მებ სურათი მხოლოდ მწვავე პერიოდის გასვლის შემდეგ იწყებს აღდგენას.

პირველად იქნა ნაჩვენები, რომ იზოლირებული წინა ტვინის გამოსვლა კომური მდგომარეობიდან თითისტარა აქტიობის სიძლიერის, სისშირისა და გავრცელების სფეროს თანდათანობითი მკაცრი შეზღუდვით და ნელტალლოვანი ძილის მებ სურათის თანდათანობითი აღდგენით ხორციელდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თითისტარა აქტიობის გამოხატულების ხარისხი პათოლოგიური მდგომარეობის დონის მაჩვენებელს წარმოადგენს.

პირველად იქნა, აგრეთვე, ნაჩვენები, რომ პათოლოგიური მდგომარეობიდან გამოსვლას ნეო- და არქიკორტიკალურ სტრუქტურებში დიფერენცირებული ხასიათი აქვს. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლეოდა ახალი მონაცემები იმის შესახებ, რომ პათოლოგიური პატერნის დომინირებიდან უფრო ადრე გამოდის პიპოკამპი, ვიდრე ახალი ქერქი და რომ წინა ტვინში აქტიური დვიძილის მებ სურათის სტაბილური აღდგენის შემდეგაც კი ახალი ქერქის დესინქრონიზაციის ფონზე ვერ ხდება თითისტარა


აქტიობის სრული დათრგუნვა, რაც წინა ტვინისა და ტვინის დეროს გამააქტივებელი მექანიზმების ფუნქციურ დიფერენციაზე მიუთითებს. გაპეთდა დასკვნა იმის შესახებ, რომ წინა ტვინის ერაუზალის მექანიზმები უპირატესად არქიკორტიკალურ სტრუქტურებს (მაგ., ჰიპოკამპს) ააქტივებს, ხოლო ტვინის დეროსეული მექანიზმები – ახალ ქრქს [14, 44].

ნარგიზ და ალექსანდრე ნაჭყებიებმა კატების „*cerveau isolé*“ მოდელზე აღმავალი ნეირომედიატორულ-ნეირომოდულატორული გავლენებისგან იზოლირებულ წინა ტვინში კომური მდგომარეობიდან გამოსვლის, ძილ-დვიძილის ციკლის და ინტაქტური ცხოველებისთვის დამახასიათებელი ელექტრული აქტიობის აღდგენის პროცესში რამდენიმე საკვანძო მომენტი და სრულიად ახალი ფაქტი აღწერებს: 1. კატების „*cerveau isolé*“ მოდელზე უჯრედშიდა და უჯრედგარე რეგისტრაციის მეთოდებით პირველად იქნა შესწავლილი იზოლირებული წინა ტვინის ახალი ქრქის ნეირონული აქტიობა და აღწერილ იქნა ახალი ქრქის ნეირონული აქტიობის პატერნი, რომელიც ცხოველების პათოლოგიური კომური მდგომარეობის დამასახასიათებელ პატერნს წარმოადგენს; 2. აღწერილ იქნა, აგრეთვე, კომური მდგომარეობის დამახასიათებელი ესბ პატერნი და ნეირონული აქტიობის და ესბ პატერნების სინქრონული განვითარება ახალ ქრქსა და ჰიპოკამპში; 3. პირველად იქნა ნაჩვენები, რომ იზოლირებული წინა ტვინის გამოსვლა კომური მდგომარეობიდან ახალ ქრქსა და ჰიპოკამპში ამ პატერნების თანდათანობით დათრგუნვასთან და მათ სრულ გაქრობასთან არის დაკავშირებული. ამ ფაქტს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მედიცინისთვის, რადგან აღწერილია კომური მდგომარეობის სიღრმის მაჩვენებელი საღიაზნოსტიკო-საპროგნოზო პარამეტრი; 4. პათოლოგიური პატერნის სრული გაქრობა ღრმა ნელტალდოვანი ძილის ესბ სურათის სტაბილური ფორმირების შემდეგ, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ ღრმა ნელტალდოვანი ძილის ნორმალური განვითარება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იზოლირებული წინა ტვინის პათოლოგიური მდგომარეობიდან გამოსვლაში; 5. ღრმა ნელტალდოვანი ძილის თანდათანობითი გადასვლა დვიძილის მდგომარეობაში, რასაც ინტაქტურ ცხოველებში მყისიერი ხასიათი აქვს.

ამრიგად, სრულიად ნათელი გახდა, რომ იზოლირებულ წინა ტვინში შეიძლება სპონტანურად განვითარდეს დვიძილის ეპიზოდები და, ბუნებრივია, მაშინვე დაისვა საკითხი ამგვარი აქტივაციის გამომწვევი მექანიზმების შესწავლის შესახებ.

შესწავლილ იქნა იზოლირებული წინა ტვინის მრავალი სტრუქტურის ერთჯერადი ელექტრული გაღიზიანების ეფექტები და გამოვლინდა, რომ „*cerveau isolé*“ კატებში ახალი ქრქისა და ჰიპოკამპის თანადროული ესბ აქტივაცია მხოლოდ უკანა ჰიპოთალამუსის ელექტრული გაღიზიანებით მიიღწევა. ეს იყო პირველი ფაქტი იმ მიმართულებით, თუ როგორ

მოქმედებს იზოლირებული წინა ტვინის ერაუზალის სისტემები არაორ-დინალურ, სპეციფიკურ პათოლოგიურ პირობებში [31].



სურ. 5. ახალი ქერქის სენსორორული უპის და პიპოკამაის ელექტრული აქტიობის კომური მდგომარეობისთვის დამახასიათებელი აქტიობის ტიპური სურათი. A – ოთხორაკებსშუა გადაჭრიდან 30 წთ შემდეგ; B – ოთხორაკებსშუა გადაჭრიდან 2 სთ შემდეგ; C – ოთხორაკებსშუა გადაჭრიდან 6 სთ შემდეგ. გამოყვანები: 1 – სენსორორული ქერქის ნეირონული აქტიობა; 2 – სენსორო-რული ქერქის ელექტროკორტიკოგრამა; 3 – ელექტროპიპოკამპოგრამა. კალიბრება: 150 მკვ, დრო – 1 წმ (Nachkebia et al., 2010)

1998 წელს აღნიშნული მონაცემები წარდგენილ იქნა ევროპის ძილის საზოგადოებათა ფედერაციის ფორუმზე (გერმანიაში) და ფორუმის სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტმა წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ქალბატონი ნარგიზ ნაჭელია სამოგზაურო გრანტით დააჯილდოვა.

ამ პერიოდს მნიშვნელოვანი აღმოჩენა დაემთხვა, რომლის შესახებ აღნიშნული შრომის შესრულებისას არაფერი იყო ცნობილი. კერძოდ, 1998 წელს ევროპელ და ამერიკელ მეცნიერთა ორმა ჯგუფმა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, უკანა, ლატერალურ და პერიფერნიკალურ ჰიპოთალამუსში აღმოაჩინა ახალი ნეიროპეტიდები, რომელსაც ერთმა ჯგუფმა ორექსინები (ორექსინ-А და ორექსინ-Б), ხოლო მეორემ ჰიპოკრეტინები (ჰიპოკრეტინ-1 და ჰიპოკრეტინ-2) უწოდა. აღმოჩნდა, რომ თავის ტვინში ორექსინების დეფიციტი იწვევს ნარკოლეფსიას – დაავადებას, რომელიც დვიძილის დათრგუნვით და მის ფონზე REM-პარადოქსული ძილის ეპიზოდური შემოჭრით მიმდინარეობს.

ამრიგად, გაირკვა, რომ ნაჭყებიას ექსპერიმენტებში პიპოთალამუსის უნები, რომელთა ელექტრული გაღიზიანებაც „cerveau isolé” კატებში ახალი ქერქისა და პიპოკამპის თანადროულ შემთხვევაში იწვევდა [31], ორექსინების მაწარმოებელ ნეირონებს შეიცავს. ამ ფაქტების გათვალისწინებით, მოგვიანებით ნარგიზ ნაჭყებიას მიერ დაიგეგმა ექსპერიმენტების სპეციალური სერია, რომლის მიზანიც დორზო-ლატერალური, უკანა და პერიფერიკალური პიპოთალამუსის ელექტრული გაღიზიანებით ახალ ქერქისა და პიპოკამპში გამოწვეული აქტივაციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ანალიზი იყო. მიღებული მონაცემების საფუძველზე, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იზოლირებული წინა ტვინის ამ ტიპის სერიული აქტივაციების გავლენის შესწავლამ ძილ-დვიძილის ციკლის ულტრადიანული სტრუქტურის ფორსირებული ადგენის დინამიკაზე ბარბიტურატების მაღალი დოზებით გამოწვეული კომური მდგომარეობიდან და ანესთეზიით გამოწვეული სელოვნური დრმა ძილიდან, რაც თავ-ზურგ-ტვინის სითხეში ენდოგენური ორექსინ-ა-ს დონის მატებით და ძილ-დვიძილის ციკლის ულტრადიანული სტრუქტურის აღდგენის ფორსირებით ხდება. მსგავსი შედეგები იქნა მიღებული ორექსინ-ა-ს ლატერალურ პარკუჭში შექვანისას, რაც პირდაპირ მიუთითებდა ამ ნეიროპეპტიდის ჩართულობაზე დვიძილის სტაბილიზაციის და პათოლოგიური მდგომარეობების ნორმალიზაციის პროცესში [21, 25, 27, 31, 41-43, 45, 46, 48, 49].

ამ ფაქტებს დიდი თეორიული და, აგრეთვე, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მედიცინისთვის, ვინაიდან, პირველად იქნა ნაჩვენები პიპოთალამუსის ახალაღმოჩენილი ნეიროპეპტიდების – ორექსინების მნიშვნელობა აღნიშნული პათოლოგიური მდგომარეობებიდან გამოსვლის დაწარებაში.

გამოკვლევათა სხვა სერია მიეძღვნა თავის ტვინის ნეირომედიატორულ-ნეირომოდულატორული სისტემების როლის კვლევას ძილ-დვიძილის ციკლის სხვადასხვა ქცევითი მდგომარეობების (ფაზების) ბაზისურ მექანიზმებში და ძილის დარღვევებით მიმდინარე ზოგიერთი ფსიქო-ნევროლოგიური დაავადების პათოგენეზში. ეს გამოკვლევები სწორედ იმ პერიოდში დაიწყო, როდესაც მსოფლიო მეცნიერებაშ უარი თქვა თავის ტვინის სტრუქტურათა ელექტროლიზურ დაზიანებასა და ქირურგიულ მოცილებაზე და უპირატესობა ფარმაკოლოგიურმა ექსპერიმენტებმა მოიპოვა. ეს

ყველაფერი, ზოგადად, მიუთითებდა პარადიგმის ცვლილებაზე ძილ-დვინილის ციკლის მექანიზმების კვლევაში, რამაც, საბოლოო ჯამში, თავის ტვინის მარეგულირებელი მექანიზმების სპეციფიკაცია განაპირობა. ამ ტიპის კვლევებმა დიდი როლი შეასრულა როგორც დასწავლისა და მეხსიერების, ისე ძილ-დვინილის ციკლის სხვადასხვა ქცევითი მდგომარეობების ბაზისური მექანიზმების და ძილის დარღვევათა პათოფიზიოლოგიის გარკვევაში.

ნარგიზ ნაჭყებიას მიერ წარმოებულ კვლევებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქცენტი ძილ-დვინილის ციკლის ბაზისური მექანიზმების სრულყოფილ ცოდნაზე გაკეთდა. კერძოდ, ღვიძილისა და ძილის სხვადასხვა ქცევითი მდგომარეობების ბაზისური ნეიროფიზიოლოგიური, ნეიროქიმიური მექანიზმების და მათი დარღვევების მკურნალობის ადეკვატური სამიზნეების განსაზღვრისთვის დიდი ყურადღება ძილ-დვინილის ციკლში თავის ტვინის სხვადასხვა ნეირომედიატორული, ნეირომოდულატორული და ნეიროპეპტიდური სისტემების მოქმედების ნატიფი ასპექტების დადგენას მიუქცა, რაც მნიშვნელოვნი იყო, აგრეთვე, ამ სამიზნეებზე მოქმედი ეფექტური წამლების ძიებისთვის.

ამ მიმართულებით წარმოებულ გამოკვლევებში მიღებულ იქნა რამდენიმე ახალი ფაქტი, რომელიც სრულიად ცვლის წარმოდგენებს ზოგიერთი ფსიქო-ნევროლოგიური დაავადების პათოგენეზის შესახებ და მათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ კლინიკური მედიცინისთვის, ერთი მხრივ, ძილზე და ღვიძილზე სხვადასხვა წამლების, თავის ტვინის ამა თუ იმ დაზიანებისა და დაავადებების ეფექტების სწორ გაგებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ძილის დარღვევებით მიმდინარე დაავადებების და ნეირომოდულატორების დონეების ცვლილებებით მიმდინარე ზოგიერთი ნეიროდეგენერაციული პროცესების მკურნალობის სწორი სტრატეგიის შემუშავებაში. ამ მიმართულებით წარმოებულ კვლევათა შედეგებზე ქალბატონმა ნარგიზ ნაჭყებიამ დიდი წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: “თავის ტვინის ნეირომედიატორულ-ნეირომოდულატორული სისტემები და ძილ-დვინილის ციკლი”.


მის მიერ ჩატარებულ კვლევებში ნაჩვენებ იქნა, რომ თავის ტვინში სეროტონინის დონის მატება ადრენორეცეპტორების დაბლოკის ფონზე აღრმავებს ნელტალდოვან ძილს, ზრდის მის მოცულობას და აუმჯობესებს ძილის ხარისხს [32, 34].

პირველად იქნა ნაჩვენები, რომ გაემ რეცეპტორების ჰიპერაქტივაცია, რაც გამა-ამინო-ერბოს მჟავას დაკავშირების გაძლიერებაში ვლინდება, აგრეთვე, აუმჯობესებს ნელტალდოვანი ძილის ხარისხს და სრულად თრგუნავს ემოციურ დაძაბულობას REM-პარადოქსული ძილის ფონზე. მნიშვნელოვნად მცირდება ემოციური დაძაბულობის გამომხატველი პარამეტრების –

თვალის სწრაფი მოძრაობების, პონტო-გენიკულო-ოქციპიტალური ტალ-დების და ჰიპოკამპური თეტა რიტმის სიხშირე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ახალი ფაქტებია, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს, რა გზითაც ბენზოდიაზეპინური ძილმომგვრელი და შფოთვის საწინააღმდეგო წამლები დადგებით თერაპიულ ეფექტს ახორციელებს [36, 50].

პირველად იქნა ნაჩვენები, რომ: REM-პარადოქსული ძილის ბაზისური მექანიზმების ამოქმედებისთვის აუცილებელ პირობას თავის ტვინის ნორადრენერგული სისტემის სრული შეკავება წარმოადგენს [26, 32, 34]. ნელტალოვანი ძილის ხარისხობრივი გაუარესება თავის ტვინში მონოამინების კონცენტრაციის მატებისას მთლიანადაა დამოკიდებული ნორადრენერგული სისტემის გაძლიერებულ ფუნქციობაზე [26].

გამოვლენილ იქნა დეპრესიის მკურნალობის მიზნით გამოყენებული ზოგიერთი ანტიდეპრესანტის არასასურველი ეფექტები ძილ-დვიმილის ციკლზე და დადასტურებულ იქნა მათი კორექციის აუცილებლობა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ახალი, შედარებით უსაფრთხო ანტიდეპრესანტების შექმნის თვალსაზრისით [26].



სურ. 6

განსაკუთრებით საინტერესო შედეგები იქნა მიღებული გამოკვლევათა სერიაში, რომელიც ძირითადი დეპრესიული დაავადების (ძდლ) პათოფიზიოლოგიის გარკვევას მიეძღვნა. პრობლემის დიდი აქტუალობის და იმ პროგრესის მიუხედავად, რომელიც დეპრესიის მკურნალობაშია მიღწეული, მისი თერაპიის სწორი სტრატეგია ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გააზრებული, რასაც ის გარემოება ართულებს, რომ ძდლ კომპლექსური

მრავალსიმპტომური დაავადებაა. სწორედ ამიტომ, ძალზედ მნიშვნელოვანი და აქტუალურია დეპრესიის პრობლემისადმი ახალი კვლევითი მიღების ძიება, რაც მის პათოგენუზში ჩართული უფრო მეტად მოწყვლადი ნეიროფიზიოლოგიური, ნეიროქიმიური სამიზნების იდენტიფიკაციას გულისხმობს და მნიშვნელოვანია ბაზისური მეცნიერებისა და კლინიკური მედიცინის თვალსაზრისით. ამ პრობლემის კვლევისას, ნარგიზ ნაჭებია ეურდნობოდა პიპოთებას, რომ აუცილებელია იმის გარკვევა, თუ სად იკვეთება ძღვ-ს პათოფიზიოლოგიის და ძილის ბაზისური მექანიზმების დარღვევათა ძირითადი ხაზები.

ამოსავალი წერტილი ის იყო, რომ ძღვ-ს ხასიათდება ძილის მნიშვნელოვანი დარღვევებით, რომელთაც მკვლევარების დიდი ნაწილი მნიშვნელოვან როლს მიაკუთვნებს დეპრესიის პათოფიზიოლოგიაში. ეს დარღვევებია: ნელტალდოვანი ძილის გაზერელევება და წყვეტადობის გაზრდა, REM-პარადოქსული ძილის ლატენტური პერიოდის შემცირება, მისი დაღვომის სიხშირის და ინტენსივობის ზრდა, ემოციურად დატვირთული, სშირი სიზმრები. ამიტომ ითვლებოდა, რომ ძღვ REM-პარადოქსული ძილის განშეკავებით ხასიათდება.

ნარგიზ ნაჭებიას მიერ ჩატარებულ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თავის ტვინის მუსკარინული ქოლინერგული სისტემის როლის კვლევას ძილის ბაზისურ მექანიზმებსა და ძილის დარღვევებით მიმღინარე ძღვ-ს პათოგენუზში.

ამ მიმართულებით საწყისი კვლევები მიეძღვნა მუსკარინული ქოლინერგული სისტემის როლის შეფასებას ძილ-ღვიძილის ციკლის ბაზისურ მექანიზმებში. შესწავლილ იქნა M1-M5 ქოლინორეცეპტორების არასელექტიური ანტაგონისტების ერთჯერადი და მრავალჯერადი სისტემური აღმინისტრაციის ეფექტები ზრდასრულ კატეპტში და მიღებულ იქნა ძალიან საინტერესო შედეგები. ნაჩვენებ იქნა, რომ ქოლინორეცეპტორების ანტაგონისტების მოქმედების ფონზე REM-პარადოქსული ძილი საერთოდ აღარ ვითარდება (სურ. 6 B). ამ ფაზის პირველი ხანმოკლე ეპიზოდი მხოლოდ მას შემდეგ დგება, რაც იწყება ქოლინორეცეპტორების გამოთავისუფლება ანტაგონისტების მოქმედებიდან. ამ პროცესის პროგრესის პარალელურად, REM-პარადოქსული ძილის რებაზნდი ვითარდება. აღდგენით პერიოდში შენარჩუნებულია REM-პარადოქსული ძილის სიხშირის მატება, ძლიერდება ამ ფაზის ემოციური დამაბულობის მაჩვენებელი პარამეტრები – თეტა რიტმის სიხშირე, თვალის სწრაფი მოძრაობების სიხშირე, გულის რიტმის ვარეაბელობა (სურ. 7).

გამოკვლეულებში პირველად იქნა აქცენტი გაკეთებული მუსკარინული ანტაგონისტების მოქმედების შეწყვეტისშემდგომ, ანუ აღდგენით პერიოდზე და პირველად იქნა ნაჩვენები, რომ მუსკარინული ქოლინერგული სისტემის

ქრონიკულ რევერსირებად გამოთიშვას აღდგენით პერიოდში მოხდევს დენერვაციული სუპერსენსიტიურობის მსგავსი მოვლენა, რაც ძილისა და ემოციური დაძაბულობის ისეთ ცვლილებებს იწვევს, რომლებიც მუსკა-რინული ანტაგონისტების მოქმედების ფონზე განვითარებული ცვლილებების საპირისპიროა.

